**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს**

**სხდომის ოქმი №8**

**ქ. თბილისი** **07.06.2019**

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:**

1. **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:**

1. **დავით მალაზონია** - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ მასწავლებელი, საბჭოს თავმჯდომარე
2. **გიორგი გიგიბერია** - ა(ა)იპ - ფონდ საერთაშორისო განათლების ცენტრის პროგრამების მენეჯერი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **თამილა ჩუბინიძე** - სსიპ - ალექსანდრე ცინცაძის სახელობის ქალაქ თბილისის N150 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე, მასწავლებელი, საბჭოს მდივანი
4. **მაკა მამფორია** - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ მასწავლებელი;
5. **დავით ჭეიშვილი** - სსიპ - ვაჟა ფშაველას სახელობის ქალაქ თბილისის N 87 საჯარო სკოლის დირექტორი
6. **გელა მაჭარაშვილი** - სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის N 2 საჯარო სკოლის დირექტორი
7. **თამარ მამსიკაშვილი** - სსიპ თბილისის N 64 საჯარო სკოლის დირექტორი.
8. **ავთანდილ აბდუშელიშვილი** - შპს „დამოუკიდებელი საერო გიმნაზია შავნაბადას“ დირექტორი
9. **კახაბერ ფარცვანია** - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი.

2. **სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

**ნინო ჟვანია -** ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

**ლალი შაიშმელაშვილი -** ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კონსულტანტი.

**რამაზი გიუნაშვილი -** ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

**ნათია მჭედლიძე -** ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანალიტიკოსი.

**ლევან გოგიჩაიშვილი -** ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

**თამარ რატიანიძე -** ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

**3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:**

**შპს გეტი**

აღმასრულებელი დირექტორი - ლინა ხარაზიშვილი

დირექტორის მოადგილე - ნანა მელქაძე.

გენ. დირექტორი - ლია კობაიძე - ქოიავა.

**შპს მარიოტა**

დირექტორი ნ. კუპრეიშვილი

**შპს გურამ დევდარიანის სახ. საავტორო ფიზიკა - მათემატიკური სკოლა**

დირექტორი - გ.დევდარიანი

წარმომადგენელი - ნ. პაპიაშვილი

**სპს დაგმარა ცანავა ხელოსანი 95**

დირექტორი - ნანი შარუხია.

**4.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტები):**

**შპს გეტი**

ირინა დვალი

თამარ მიდელაშვილი

მაკა კაჭკაჭიშვილი.

**შპს მარიოტა**

ნოდარ ანგურიძე

თეა გაბელია

ლია გრიგოლია

**შპს გურამ დევდარიანის სახ. საავტორო ფიზიკა - მათემატიკური სკოლა**

ლელა ფიცხელაური

მანანა თურქაძე

რუსუდან მიდელაშვილი

**სპს დაგმარა ცანავა ხელოსანი 95**

ლევან ღურწკაია

მაკა ჭიაბერაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე დავით მალაზონია.

სხდომა გაიხსნა 15:00 საათზე, სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის

№99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

**სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:**

1. **შპს გეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;**
2. **შპს მარიოტაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;**
3. **სპს დაგმარა ცანავა - ხელოსანი 95 - ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;**
4. **შპს გურამ დევდარიანის სახელობის საავტორო ფიზიკა - მათემატიკურ სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს გააცნო შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც სპს დაგმარა ცანავა - ხელოსანი 95 - ის საკითხის განხილვა გადმოეტანათ ბოლო საკითხად. საბჭო ერთხმად დაეთანხმა აღნიშნულ შუამდგომლობას და დაამტკიცა შეცვლილი დღის წესრიგი:

1. შპს გეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს მარიოტაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს გურამ დევდარიანის სახელობის საავტორო ფიზიკა - მათემატიკურ სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.
4. სპს დაგმარა ცანავა - ხელოსანი 95 - ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

**1.შპს გეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.**

1.1 ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ - ქალბატონმა ირინა დვალმა დეტალურად აღწერა სკოლაში არსებული ვითარება მატერიალური სტანდარტის მიხედვით. მან აღნიშნა, რომ სკოლის ვებ გვერდზე არ იყო განთავსებული ინფორმაცია 2018-2019 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმისა და სკოლის განვითარების 2018-2019- წლიანი გეგმის შესახებ. ვიზიტის პერიოდში ვებგვერდზე განთავსებული იყო 2016-2017 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა და 2016-2017 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განცხადებით, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ ხშირად განაახლოს ვებგვერდი და განათავსოს მასზე ახალი ინფორმაცია. შემდეგი ხარვეზი, რაც სკოლას გააჩნდა მატერიალური კუთხით, იყო სსსმ მოსწავლის სველ წერტილთან დაკავშირებით. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეთათვის, რომლებიც საჭიროებენ ეტლით გადაადგილებას, სკოლას პირველი სართულის კიბეებიდან დამონტაჟებული აქვს მოძრავი პანდუსი, რომელიც ვიზიტის პროცესში აკეცილი იყო კედლისკენ. ერთ-ერთ ტუალეტს, რომელიც დირექციის განმარტებით და ვიზუალური დათვალიერებით ადაპტირებული იყო შშმ მოსწავლისათვის შესასვლელის მოძრავი პანდუსი ვიზიტის დროს მოხსნილი ჰქონდა, ხოლო თავად სველი წერტილის შესასვლელი კარი იმდენად ვიწრო იყო, რომ ეტლით მოსარგებლეს გაუჭირდებოდა შესვლა.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შშმ მოსწავლისთვის სველი წერტილი მოაწყოს სხვა ადგილას, სადაც მაქსიმალურად გაითვალისწინებს ასეთი ბავშვების საჭიროებებს.

ქალბატონმა ირინა დვალმა აღნიშნა, რომ სკოლის დირექციასთან ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, რომ ექთანი (რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება) იმყოფება დეკრეტულ შვებულებაში. მის ფუნქციებს ითავსებდა ბიოლოგიის მასწავლებელი და სკოლის კურსდამთავრებული - სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი, რომელიც კვირაში ორჯერ მოდიოდა სკოლაში. ხელშეკრულება გაფორმებულია მასთანაც.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ დაიქირავოს სრულ განაკვეთზე მომუშავე ექიმი/ექთანი, რომელიც იზრუნებს მოსწავლეთა სამედიცინო უსაფრთხოებაზე.

საბჭოს წევრმა - დავით ჭეიშვილმა დასვა კითხვა შენობის პირველ სართულთან დაკავშირებით, ირინა დვალმა დაწვრილებით აღწერა სკოლის შესასვლელი და ისაუბრა

სკოლის უსაფრთხოებაზე, რაც გამყარებული იყო სათვალთვალო კამერებითა და საევაკუაციო გასასვლელით.

შემდეგი საკითხი, რომელსაც შეეხო საბჭოს თავმჯდომარე, იყო მეთორმეტეკლასელთა დასწრება საგაკვეთილო პროცესზე. ამ საკითხზე ისაუბრა სკოლის წარმომადგენელმა და განმარტა, რომ მეთორმეტეკლასელები ესწრებოდნენ გაკვეთილებს. რაც შეეხებოდა მე-12 კლასში (24 ბავშვი სწავლობდა) 9 მერხის არსებობას, სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, ვინაიდან ექსპერტთა ვიზიტს წინ უძღოდა სააღდგომო არდადეგები, მერხები ატანილი იყო სააქტო დარბაზში იმ პერიოდისთვის მათ გაკვეთილები უტარდებოდათ სხვა კლასებში. ქალბატონმა ირინა დვალმა ასევე ისაუბრა სააბიტურო საათებზე, რომელიც დამრიგებელს შეეშალა და ჟურნალში შეიტანა შეცდომით. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლას მიეცა რეკომენდაცია.

1.2 ექსპერტმა - თამარ მიდელაშვილმა ისაუბრა პროგრამულ ნაწილზე. მისი თქმით, ხარვეზები აღინიშნებოდა უცხო ქვეყნის მოქალაქეების მხრიდან გაკვეთილებზე დასწრებისა და მათთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მიმართულებით. ვიზიტის განხორციელების დროს დაფიქსირდა, რომ სამივე საფეხურზე სწავლობდნენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები. მათთვის სკოლას ხელშეკრულებით აყვანილი ჰყავდა სტუდენტი, რომელიც ეხმარებოდა ქართულის მასწავლებელს მოსწავლეებთან კომუნიკაციაში. სასკოლო გეგმაში არ ფიქსირდებოდა თითოეული მოსწავლისათვის საგნების მიხედვით შექმნილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ თითოეული მოსწავლისათვის შეედგინა ისგ, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს: სასწავლო მიზნებსა და სასწავლო შედეგებს, სწავლების სტრატეგიებს შერჩეულ საგნებში, შეფასების პრინციპებს, დამატებითი მეცადინეობების გრაფიკს, სასწავლო რესურსებს (სახელმძღვანელო, დამატებითი რესურსები), ბრძანებით განსაზღვრავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებელ ჯგუფსა და პროცესზე პასუხისმგებელ პირს.

საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ რატომ ფასდებიან მე-11 და მე-12 კლასებში არჩევით საგანში (სამედიცინო ბიოლოგია) მოსწავლეები განმსაზღვრელი შეფასებით, ხოლო მე-5 კლასის მოსწავლეები - განმსაზღვრელი შეფასებით რუსულ ენაში საშინაო დავალების კომპონენტში. ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულის თაობაზე შესაბამის პედაგოგებს მიეცათ რეკომენდაციები და ვიზიტის დროსვე შევიდა ცვლილება და შენიშვნები საკლასო ჟურნალებში. საბჭოს თავმჯდომარემ დასვა შეკითხვა, რა სახით ხორციელდებოდა სკოლაში

მასწავლებელთათვის სიახლეების მიწოდება, რაზეც სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სიახლეების გაცნობა პერმანენტულად არ ხდებოდა.

1.3 ადამიანური რესურსის სტანდარტთან დაკავშირებით ისაუბრა ექსპერტმა, მაკა კაჭკაჭიშვილმა, მან აღნიშნა, რომ სკოლაში იყო კეთილგანწყობილი და თანამშრომლობითი გარემო. მასწავლებელთა მიღების წესი იყო გამჭვირვალე. მასწავლებლების მართვის საინფორმაციო ბაზის გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ 38 მასწავლებლიდან 23 პრაქტიკოსი მასწავლებელია, 4 კი - უფროსი. 13 მასწავლებელს არ აქვს სტატუსი მინიჭებული. მათგან 2 მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართვის შესახებ სკოლის დირექტორმა მიმართა სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორს 2017 წლის 7 ივლისს. როგორც ინტერვიუდან გაირკვა, სკოლას ჯერ არ მიუღია პასუხი აღნიშნულ წერილთან დაკავშირებით. 11 მასწავლებელს დიპლომის მიხედვით ჰქონდა შესაბამისი საგნის მასწავლებელის კვალიფიკაცია, მაგრამ არ უდასტურდებოდათ მასწავლებლობის უფლება. სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით, მათგან 4-ს ჩაბარებული ჰქონდა საგნის გამოცდა, თუმცა, ამის დამადასტურებელი დოკუმენტი არ იყო წარმოდგენილი, ხოლო 7 მასწავლებელი წელს მიიღეს.

ექსპერტის განმარტებით, სკოლას მიეცა რეკომენდაციები: განმეორებით მიმართოს სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს 2017 წელს გაგზავნილ მიმართვაზე საბოლოო პასუხის მისაღებად. მასწავლებლის კვალიფიკაციის არმქონე პედაგოგებს მიანიჭოს მოწვეული მასწავლებლის სტატუსი, ხოლო მათი საათობრივი დატვირთვა არ აღემატებოდეს კვირაში ცხრა საათს.

სხდომაზე გამოცხადდა 5 წუთიანი შესვენება.

სხდომა განახლდა 15:07 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გეტის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 1

**გადაწყვეტილება:**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს გეტში (ს/კ:202388219) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო სკოლის მიმართ შეჯერდა შემდეგ დათქმაზე: სკოლას მიეცა რეკომენდაცია საბჭოზე განხილული ხარვეზების გამოსასწორებლად ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე წარმოედგინა ხარვეზების გამოსწორების ამსახველი დოკუმენტაცია მტკიცებულების სახით.

**2. შპს მარიოტაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;**

2.1.ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე - ნოდარ ანგურიძემ დეტალურად აღწერა სკოლა - მარიოტაში არსებული ვითარება სამივე სტანდარტის მიხედვით. ვიზიტის დროისთვის სკოლაში ირიცხებოდა 302 მოსწავლე, საკლასო ოთახებში და საწყობებში განთავსებული იყო 376 მერხი (მათ შორის 29 ორადგილიანი) და 420 სკამი. თუმცა სკოლის სრული დატვირთვის შემთხვევაში, რომელიც ავტორიზაციის საბჭოს 2016 წ. 09 ივნისის N84 გადაწყვეტილებით შეადგენს 420 მოსწავლეს, არსებული ინვენტარი საკმარი ოდენობის ვერ იქნებოდა. ვიზიტის შემდგომ სკოლის ადმინისტრაციამ შეისყიდა დანარჩენი რაოდენობა, რაც დასტურდება სკოლის მიერ გამოგზავნილი შესყიდვის დოკუმენტით. 2.2. ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ ხაზი გაუსვა შეფასების პრინციპების დოკუმენტს, რომელიც საჭიროებდა გადახედვას და ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით შესაბამისობაში მოყვანას, კერძოდ მე-5 და მე-6 კლასებში, ჟურნალში, ყველა საგანში, საშინაო დავალების კომპონენტში გამოყენებული იყო განმსაზღვრელი შეფასება. გარდა ამისა სკოლას მე-10, მე-11, მე-12 კლასებში არჩევით საგნებში მოსწავლეები შეფასებული ჰყავდა ნიშნებით, რაც ეწინააღმდეგება ე.ს.გ-ის 31-მუხლს, რომლის მიხედვითაც არჩევით საგნებში მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა. სკოლის ძლიერ მხარედ მიჩნეული იყო ის, რომ სკოლა „მარიოტას" მიერ განსაზღვრული სარეიტინგო ტესტირებები, რომლებიც წელიწადში ოთხჯერ ტარდება (თითოეულ სემესტრში - ორჯერ), დგინდება საუკეთესო კლასი, რომელსაც სკოლა მოტივაციის ამაღლების მიზნით აჯილდოვებს ექსკურსიის დაფინანსებით. ვიზიტის დროსაც სკოლის ფოიეში გამოკრული იყო კლასების რეიტინგი.

ბატონმა ნოდარ ანგურიძემ ასევე ისაუბრა სკოლის საათობრივი ბადის შესახებ, სადაც აღმოჩნდა გარკვეული ხარვეზები, კერძოდ: აუცილებელია განსაზღვრული ყოფილიყო საგნის/საგნების წლიური ჯამური საათების რაოდენობა, საათობრივი ბადე უნდა მოიცავდეს თითოეული კლასის ყოველდღიური გაკვეთილების განრიგს, რომელიც დააზუსტებს კვირის რომელ დღეს, რა თანამიმდევრობით და დროის რა მონაკვეთში რომელი საგანი ისწავლება. საბჭოს წევრმა სკოლის წარმომადგენელს ჰკითხა, რა სახის შემაჯამებელი დავალებები ტარდებოდა სკოლაში, რაზეც პასუხი იყო ის, რომ შემაჯამებლები იყო მხოლოდ ტესტური ტიპის - ღია და დახურული კითხვებით. ნოდარ ანგურიძემ აღნიშნა, რომ სკოლის ადმინისტრაციასა და პედაგოგებთან ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა სკოლის ძლიერი მხარეები, კერძოდ: სკოლა ფიქრობს სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარებასა და პროფესიულ წინსვლაზე, რაც დოკუმენტურად

არსად ასახული არ არის. ასევე ვითარდება თანამშრომლობითი კულტურა, რაც გამოიხატება იმაში, რომ მასწავლებლები ერთმანეთს ესწრებიან გაკვეთილებზე და ხდება გამოცდილების გაზიარება. ბატონმა ნოდარ ანგურიძემ აღნიშნა, რომ ვიზიტის მიმდინარეობისას ორ მე-11 კლასელს დასჭირდა პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა, რაც მათ გაეწიათ ოპერატიულად. 5-7 წუთის განმავლობაში სკოლაში იმყოფებოდნენ სასწრაფო დახმარების თანამშრომლები, მშობლები, მაგრამ მთავარი როლი ითამაშეს სკოლის დირექტორმა და სკოლის ექიმმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მარიოტას ვტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს მარიოტაში (ს/კ: 239866105) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

**3. შპს გურამ დევდარიანის სახელობის საავტორო ფიზიკა - მათემატიკურ სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.**

3.1 ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ - ლელა ფიცხელაურმა ისაუბრა ვიზიტის ირგვლივ სამივე სტანდარტის მიხედვით. პროგრამული ნაწილის შესაბამისად, სსგ - ში მოცემული მისიის მიხედვით სკოლა უზრუნველყოფდა მცირე კონტინგენტის პირობებში დამატებითი ინდივიდუალური მუშაობის მეშვეობით, საგნებში საათობრივი დატვირთვის გაზრდით, ისეთი დონის მიღწევას, რომ მოსწავლეებს შეეძლოთ რეპეტიტორების გარეშე საატესტატო და ერთიანი ეროვნული გამოცდების დაძლევა.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია გაითვალისწინოს საკანონმდებლო ცვლილება საატესტატო გამოცდების გაუქმებასთან დაკავშირებით და მისიაში შეიტანოს შესაბამისი შესწორება.

ლელა ფიცხელაურის განმარტებით, სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით სკოლაში არ იყო განსაზღვრული მეორე უცხოურ ენად რომელ ენას სთავაზობდა სკოლა და სპორტის რომელი სახეობები ჰქონდათ არჩეული მოსწავლეებს .

სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ უცხოური ენებიდან მოსწავლეებს სკოლამ შესთავაზა გერმანული და რუსული ენები, მაგრამ ყველა მოსწავლემ აირჩია რუსული ენა. რაც შეეხება სპორტს ინტერვიუირებისას აღინიშნა, რომ ჩარგლის ქუჩაზე მდებარე შენობაში საბაზო საფეხურზე ტარდებოდა: მხატვრული ტანვარჯიში, მაგიდის ჩოგბურთი და ჭადრაკი, ხოლო ნადირაძის ქუჩაზე მდებარე შენობაში: ფრენბურთის, ფეხბურთისა და ჭადრაკის გაკვეთილები. სკოლას მიეცა რეკომენდაცია სპორტის გაკვეთილები ჩაეტარებინათ ესგ-ს სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად სწავლების ყველა საფეხურზე. უცხოური ენებისა და სპორტის სახეობების არჩევა/შერჩევა დადასტურებული ყოფილიყო შესაბამისი ოქმებით/ბრძანებებით.

დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით, ასევე საშინაო დავალების რვეულების დათვალიერებით დადგინდა, რომ ,,მოტივაციის ამაღლების მიზნით,''პერიოდულად ხდებოდა მოსწავლის შეფასება ქულებით ან ღიმილებით. სკოლას მიეცა რეკომენდაცია გაითვალისწინოს ესგ - ს მუხლი 32 და დაწყებით საფეხურზე საშინაო დავალების შეფასებისას აქტიურად გამოიყნოს მხოლოდ განმავითარებელი შეფასება. ვიზიტის პერიოდში ასევე გამოიკვეთა, რომ 2018 – 19 წ. სასკოლო - სასწავლო გეგმით, ჩასატარებელი გამოცდების განრიგით, გამოცდის დებულებით და გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში ყოველი წლის ბოლოს ტარდება გამოცდები მე-7 - მე-10 კლასების ჩათვლით ფიზიკასა და მათემატიკასი.

გამოცდის ქულის დაანგარიშება ხდებოდა მოსწავლის წლიური შეფასების დროს. სკოლას მიეცა რეკომენდაცია გაითვალისწინოს ეროვნული სასწავლო გეგმის მუხლი 36, პუნქტი 9, რის მიხედვითაც, ერთი და იმავე კლასში, ერთსა და იმავე საგანში გამოცდებს შორის უნდა იყოს ორწლიანი შუალედი მაინც.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვა დასვა შემაჯამებლების ნაირსახეობასთან დაკავშირებით, რაზეც მას ლელა ფიცხელაურმა უპასუხა, რომ სკოლაში არ იყო დამკვიდრებული პრაქტიკა სხვადასხვა სახის შემაჯამებელ წერებთან დაკავშირებით (მაგ: პროექტი, პრეზენტაცია), ძირითადად ტარდებოდა ტესტური ტიპის წერები - ღია და დახურული კითხვებით.

3.2. მატერიალურ ნაწილში ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე დეტალურად აღწერა სკოლაში არსებული ვითარება. მისი თქმით, ნადირაძის ქუჩაზე ლაბორატორია და ბიბლიოთეკა განთავსებული იყო შენობის ნულ სართულზე, რომელთაც არ ქონდათ საკმარისი ბუნებრივი განათება. აღნიშნულთან დაკავშირებით, სკოლას გაეწია რეკომენდაცია.

ლელა ფიცხელაურმა აღნიშნა, რომ ნადირაძის ქუჩაზე არსებულ სასწავლო შენობაში მდებარე საპირფარეშოში შესასვლელი კარი იყო იმდენად ვიწრო, რომ ეტლით მოსარგებლე მოსწავლეს შეექმნებოდა სირთულე გადაადგილებასთან დაკავშირებით. სკოლის ადმინისტრაციას მიეცა რეკომენდაცია - უზრუნველეყოთ სველი წერტილის სრული ადაპტირება შესაბამისი ნორმების დაცვით. რაც შეეხება ნადირაძის ქუჩაზე განთავსებულ სამედიცინო კაბინეტს, იგი აღჭურვილი იყო სათანადო ინვენტარით. მისი არახელსაყრელი მდებარეობის გამო, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ სამედიცინო კაბინეტი გადმოეტანათ ქვედა სართულზე. ნადირაძის ქუჩაზე დაწესებულებას ჰქონდა ერთი ძირითადი და ერთი სათადარიგო გასასვლელი ეზოს მხრიდან. უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად განლაგებული იყო სამი გარე კამერა, რომელთაგან ორი აკონტროლებდა შემოსასვლელის გარე პერიმეტრს, ერთი კი სკოლის ეზოს. ვიზიტის მიმდინარეობის დროს სათადარიგო გასასვლელში, რომელიც არ კონტროლდებოდა, დამონტაჟდა ერთი სამეთვალყურეო კამერა.

3.3 ადამიანური რესურსების სტანდარტის განხილვისას, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დეტალურად ჩამოაყალიბა შემდეგი:

სკოლას ჰყავდა 38 პედაგოგი, აქედან 13 მასწავლებელს არ ქონდა მინიჭებული სტატუსი. როგორც ექსპერტმა აღნიშნა, სკოლა ვერ ინარჩუნებდა სტაბილურ კადრს და განიცდიდა მასწავლებლების ხშირ ცვლას, რაც დაადასტურა სკოლის წარმომადგენელმაც და ამის მიზეზად დაასახელა ეკონომიური მდგომარეობა. მისი თქმით, მასწავლებლები ეკონომიური პირობების

გაუმჯობესების მიზნით გადადიოდნენ საჯარო სკოლაში. თუმცა, ასევე დასძინა, რომ სკოლაში იკვეთებოდა მაღალი ერთგულების მაჩვენებელი და მასწავლებელთა უმეტესობა უპირობოდ ამჯობინებდა აღნიშნულ სკოლაში დარჩენას. რაც შეეხება პედაგოგთა 10% ცვლილებას, სკოლის ადმინისტრაცია ამასთან დაკავშირებით არ იყო ინფორმირებული და, შესაბამისად, ცენტრში არ ჰქონდათ წერილი გაგზავნილი, რაზეც მათ ექსპერტებისგან მიეცათ რეკომენდაცია.

საბჭოს თავდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შპს გურამ დევდარიანის სახ. საავტორო ფიზიკა - მათემატიკური სკოლის გაუქმებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს გურამ დევდარიანის სახელობის საავტორო ფიზიკა - მათემატიკურ სკოლაში (ს/კ: 209475904) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

**4.სპს დაგმარა ცანავა - ხელოსანი 95 - ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა:**

4.1 ექსპერტთა ჯგუფის წევრმა - მაკა ჭიაბერაშვილმა დამსწრე საზოგადოებას დეტალურად გააცნო ვიზიტის პერიოდში გამოვლენილი მიგნებები. მისი თქმით, ვიზიტის პირველ დღეს - 06 მაისს სკოლაში სასწავლო პროცესი არ ხორციელდებოდა, ვინაიდან სკოლას საეკლესიო დღესთან დაკავშირებით გამოცხადებული ჰქონდა დასვენება. აღნიშნულის თაობაზე სკოლას ბრძანება არ წარმოუდგენია. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა მიმართეს დირექტორს, წარმოედგინა 05.09.2019 №1ა ბრძანებით დამტკიცებული ყველა ის დოკუმენტი, მათ შორის სკოლის დებულებაც, რითიც რეგულირდებოდა სკოლის საქმიანობა. ვიზიტის ბოლო დღეს 8 მაისს, დირექტორმა წარმოადგინა სკოლის დებულება, რომელიც ნაწილობრივ არ შეესაბამებოდა არსებულ სასკოლო დოკუმენტაციას. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ სკოლის სტრუქტურაც იყო ხარვეზების შემცველი. წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულებიდან ესქულის ბაზაში ჩანდა მხოლოდ ექიმი, ბიბლიოთეკარი, ბუღალტერი, ინფო მენეჯერი, დარაჯი, მასწავლებლები. ასევე ადმინისტრატორი, რომელიც არ ჩანდა სკოლის სტრუქტურაში. ბაზაში არ ფიქსირდებოდა დირექტორი, მოადგილე და დამლაგებელი. სასკოლო სასწავლო გეგმა შედგებოდა 10 თავისგან. რაც შეეხება მისიას, ექსპერტის განცხადებით, სკოლის მისია აქცენტირებული იყო სასწავლო პროცესში საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებაზე, ასევე ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე, თუმცა ეს უკანასკნელი მიუღწევადი და განუხორციელებელი იყო, ვინაიდან სკოლაში არსებული სპორტული დარბაზი ერთი წელია რემონტდება და მოსწავლეთა ჩართულობა სპორტის მიმართულებით ფორმალური ხასიათის იყო. მშობლებთან ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, რომ სპორტის გაკვეთილი არ ტარდებოდა.

მაკა ჭიაბერაშვილის განცხადებით, კათედრის პორტფოლიოები სკოლას ჰქონდა მწირი ოდენობით. აღნიშნულ პორტფოლიოში ესგ-ს მიხედვით სავალდებულო 4 სხდომიდან ჩატარებული იყო მხოლოდ პირველი სხდომა, რაც შეეხება შემაჯამებელ დავალებებს, სასკოლო გეგმაში შემაჯამებელთა რაოდენობა მითითებული იყო, მაგრამ გრაფიკი შედგენილი არ ყოფილა. ასევე არ იწერებოდა ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზები. კათედრის პორტფოლიოში ინახებოდა საგნის თემატური გეგმები. შეფასების ნაწილში არ გამოკვეთა გამჭვირვალობა, რომლის მიხედვითაც, ყველა საკლასო ოთახში უნდა ყოფილიყო გამოკრული საგნებისა და კომპონენტების მიხედვით შეფასების რუბრიკები, რაც ვიზიტის პერიოდში არ დადასტურდა. საკლასო ჟურნალებში ფიქსირდებოდა განმსაზღვრელი შეფასებები მე-5 კლასის პირველ სემესტრში, ასევე მე-5 და მე-6 კლასებში ხორციელდებოდა მოსწავლეთა შეფასება

საშინაო დავალების კომპონენტში. ნიშანდობლივია, რომ სკოლაში არ მოქმედებდა მშობლის ინფორმირების განსაზღვრული წესი, თუმცა, ექსპერტის განცხადებით, სსგ-ში არის მითითებული, რომ თვეში ერთხელ სკოლა მშობელს აწვდის მისი შვილის აკადემიური მოსწრების ფურცელს. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ ასეთი ფურცლი ვერ წარმოადგინა. ზეპირი ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სატელეფონო კავშირით ხორციელდებოდა მშობლის ინფორმირება.

ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას არ ჰყავდა სსსმ მოსწავლე და ამ მოტივით ინდივიდუალური სასწავლო გეგმები არ იყო შემუშავებული. ასევე არ იყო დაკონკრეტებული ისგ-ს ჯგუფი, რომელიც საჭიროების გამოვლენიდან განსაზღვრულ ვადებში მოსწავლისათვის შეადგენდა ისგ-ს. ასევე სასკოლო სასწავლო გეგემაში არ იყო მოცემული ისგ-ს ნიმუში. სკოლა სიტყვიერად აცხადებდა მზაობას საჭიროების გამოვლენისთანავე უზრუნველეყო მოსწავლისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა, თუმცა არსებული მდგომარეობით ეს არ დასტურდებოდა. ვიზიტის ფარგლებში არ იყო წარმოდგენილი სკოლის სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის.

ექსპერტმა განმარტა, რომ XII კლასის მოსწავლეებს არჩევით საგნად არჩეული აქვთ საგანი ხატვა, რომელიც ეროვნულ სასწავლო გეგმაში შემოთავაზებულია მე-9 კლასისათვის. ხოლო მე-11 კლასში მათ ისწავლეს არჩევით საგნად გერმანული. შესაბამისად, საშუალო საფეხურის მანძილზე მათ მხოლოდ ეს ორი საგანი აქვთ არჩევით საგნად გავლილი. რაც შეეხება შეფასების კომპონენტს, სკოლა იყენებდა განმსაზღვრელ შეფასებას, რის დასადასტურებლადაც წარმოადგინეს კონკრეტული რუბრიკები და განმსაზღვრელი შეფასების მაგალითები. განმავითარებელი შეფასების მექანიზმი სკოლაში არ მუშაობდა. არ იყო შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები საჯაროდ გამოკრული სასლასო ოთახებში და ცნობილი სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის. მშობლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ ისინი არ იცნობდნენ შეფასების სიტემას, შესაბამისად, მათ არ ჰქონდათ ინფორმაცია შეფასების რუბრიკების შესახებ.

საბჭოს წევრმა - დავით ჭეიშვილმა სკოლის წარმომადგნელს დაუსვა კითხვა, რატომ დადიოდნენ მოსწავლეები აბაშიდან ქუთაისში, რაზეც დირექტორმა - ნანი შარუხიამ განმარტა, რომ ადრე აღნიშნული სკოლა მდებარეობდა ქ. აბაშაში, ასევე მოსწავლეებისთვის აბაშიდან სიარული სირთულეს არ წარმოადგენდა. რაც შეეხებოდა ცხრილის ხშირად ცვლას, ქალბატონმა ნანიმ დაამატა, რომ მასწავლებელთა სკოლიდან წასვლა იწვევდა ცხრილის სისტემატურ განახლებას, თუმცა სკოლა პრიორიტეტს ანიჭებდა მოსწავლეთა დასწრებას საგაკვეთილო პროცესზე.

4.2 ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ - ლევან ღურწკაიამ ისაუბრა სკოლის მატერიალურ სტანდარტზე. მისი განმარტებით, საკლასო ოთახები აღჭურვილი იყო 118 ინდივიდუალური მერხით და 98 სკამით, გარდა ამისა დასაწყობებული ჰქონდათ 23 მერხი და მასზე მიდუღებული სკამი, რაც არ იყო საკმარისი ოდენობის. რაც შეეხება სკოლის ვებ - გვერდს, იგი მონიტორინგის პერიოდში არ მუშაობდა, გვერდი ამუშავდა ვიზიტის დასრულებიდან მეორე დღეს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა კამერების შესახებ. მისი თქმით, სკოლის შიდა პერიმეტრზე დამონტაჟებული იყო 3 კამერა, რომლებიც აკონტროლებდნენ სამივე სართულის დერეფანს. ხოლო გარე პერიმეტრზე ორი, რომელიც აკონტროლებდა ძირითად შემოსასვლელს. ერთი სათადარიგო შესასვლელზე, რომელიც გამოიყენებოდა საევაკუაციო გასასვლელად. სკოლის დირექტორის განმარტებით, კამერა ნაყიდი ჰქონდათ, მაგრამ ვერ მოხერხდა დამონტაჟება. შიდა კამერის პარამეტრი შეესაბამებოდა მოთხოვნილს, ხოლო გარე კამერების გადამოწმება ვერ მოხერხდა, ასევე ვერ განხორციელდა ჩანაწერის ნახვა. საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, კიდევ ხომ არ იყო რაიმე პრინციპული საკითხი, რაზეც ისაუბრებდნენ ექსპერტები. მაკა ჭიაბერაშვილმა დაამატა, რომ გაურვეველი იყო სამი მოსწავლის ბედი. ისინი გადმოსულები იყვენ სხვა სკოლიდან, ხოლო სკოლას მობილობის პროცესი განხორციელებული არ ჰქონდა. ასევე ისინი ირიცხებოდნენ ჟურნალში, რაც გულისხმობდა უპირობო დარღვევას.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები აღარ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სპს დაგმარა ცანავა - ხელოსანი 95 - ის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 9

**გადაწყვეტილება:**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის და დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის

შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის მე--3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო საწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მე-7 პუნქტისა და 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის შეაბამისად, სპს დაგმარა ცანავა - ხელოსანი 95 - ს (ს/კ 222430876) გაუუქმდეს ავტორიზაცია.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სასწავლო წელი მალე სრულდებოდა, საბჭომ მიზანშეწონიალად მიიჩნია, სპს დაგმარა ცანავა - ხელოსანი 95 - თვის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2019 წლის 20 ივნისიდან.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შედეგად სხდომა 18:50 საათზე დახურულად გამოცხადდა.

**თავმჯდომარე**

დავით მალაზონია

**მდივანი**

თამილა ჩუბინიძე